

F 24
1887

თ ე პ ტ რ ი

საზოგადო-პოლიტიკურ სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა

№ 8

თებერვლის 15.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 გ.
ხელის მოწერა მიღება: თბილისში რედაქტ. კანცორაში. ფოთში
ჰყავთ. კალანდამესთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთა გის: თეატრი,
ვ. რედაქციი გაზეთი „TEATRЪ.“ გაზეთი ისეუდება: თბი-
ლის ჩარგვისას წიგნის მაღაზიაში; ხილის უკრთა: ალიხანოვის პაპირ-
ზის მაღაზიაში. ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკ-
მარერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კონკრეტულდენცია) გარევევით
უდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოიხსოვს წერილებს რედაქცია შეა-
სწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ
შესახებ მიწერ-მიწერას.

უკვე წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და სა-
ცხოვრებელი ადგილი დაწერილი.

ც ე ლ ე მ ტ რ ი

უბსკრული.

(კაზ-ესენტორის ნაკვლევი.)

სა

მალმა ხელიდგან გააგდო გაზეთი, რომელსაც იმ წუთში
კითხულობდა.

მავმა ეს ვერ შენიშნა: წიგნს გულმოდვინედ კითხუ-
ლობდა.

ზარედ ქარი ჰქილადა და სარკმლის ჩარჩოებს ან ძრევდა.
ოთახში კი ბუხარი სასიამოვნოდ ღულუნებდა და მის შექვე
იატაკი წითლად ბრწყინავდა. ლაპვარი მკრთალს ნათელს
ჰუნდა ტაბლას, რომლის გარშემო დამწერიებულე-

ბი იყვნენ შავით გადაკრული საეპისტო მეორე კუთხეში მუცელი იქნა კედლის საათს დაუღალავად გაუდიოდა წიკ-წიკი. მოთახში ისეთი სიჩუმე იყო, რომ შეიძლებოდა საათის ენის ყევლა გაქან-გამოქანების დათველა. მარის ახალმა გრიალმა მრისხანე მდევიეთ შეანძრია სახლი და გულის გამგმირად გაიზუშუნა ბუხარში.

ახალგაზდა ქალმა გაიხედა ქუჩაში. იქნება ისეთივე გრიალი იდგა იმ ღამეს, როდესაც ორი გმირი, რომლებშედაც იმ საათს გაზეთში წაიყითხა, სიცოცხლეს გაშორდა. მს ამ-ბაეთ ჩერულებრივი იყო, ერთი იმ შემთხვევათაგანი, რომლებიც ხშირად ხდებიან დიდს ქალაქებში და რომლებსაც სწრაფად წარმატების დანანების გრძნობით კითხულობს კაცი. „ორმა შეუბრალებელის გაჭირებით შეწუხებულმა არსებამ თავი მოიკლაო.“ რამდენისამე დღის შემდეგ გაზეთებში ტყეტრება ახალი შენიშვნა ან გვამების გაჭრის შედეგის, ან მათ დამარხების შესახებ, და საქმე დაციწყებას ეძლევა. მაგრამ ამ მოკლე და ჩერულებრივმა ცნობამ ისეთი ძლიერი ჩაბეჭდილება მოახდინა ქალზე, რომელიც შეუგნებელად ჭმუჭნიდა ხელში გაზეთს და უძრავად იყუჩებოდა სიერცეში, რომ სულ მაზე ფიქ-რობდა.

იმათ ნახშირის სუნით მოიკლეს თავი. ისინი არ იყვნენ ახალგაზდები და ამიტომ ძნელი იყო მათთვის გაჭირებასთან ბრძოლა; მაგრამ არც გაჭირებას, არც მის თანამდევარის ვაკლას ერ შეეძლოთ მათ გაშორება. ცოლი აზ იყო ჯერ მოხუცებული, მას ჰყავდა ნათესავები და მეგობრები, რომელთაც შეეძლოთ მის შეკედლება. მშარზე რაღაც მცვი აიღეს მის საქმეების გამო, მაგრამ ამის მიუხედავად ცოლმა თავი არ დაანება მას. ის წაჲყენა მას საფლავში თავის ნებით, დაუნანებლად, და განუშორებლები ერთად გაემგზავრნენ უცნობს ქვეყანაში, ზამთრის ქარიშხალი არ იქნებოდა მათთვის საშიშარი: ისინი ერთმან-ერთს ეკუთნოდენ. ცხოვრების გაჭირება მათ უკან დარჩათ, ერთგულობის გრძნობა კი თან წაიღეს საფლავში.

ამ ამბის წამყითხეველი ქალი მთართოლვარც ხელით

კმუქნის გაზეთს. ბული მწუხარებით ეცხება, ურემლები ყელში მოსდიან. ოთანი, რომელშიაც იმ უბედურებმა თავი მოიყლეს, უთუოდ დაცარიელებული იყო, მოკლებული ყოველს მას, რაც ოდესმე მაში ფასიანი იყო; ნახშირი მცრალის მოწითალო ალით ღუოდა და აერცელებდა მომაკედინებელს სუნს. მაგრამ ცოლი უშიშრად ჩახუტული იყო ქმართან. შმათ ერთმანერთი უყვარდათ, ერთმანერთს ეკუთნოდენ ეხლაც და მუდამაც. ოც, ეს რა კარგი უნდა იყვეს!

მალმა მძიმედ ამოიხსრა. „რა ბედნიერია ის, ეისაც შეუძლიან თავის საყვარელი ანსება ესე ჩაიხუტოს!“ ის ქურდულად უცქერის მის პირდაპირ მჯდომარე კაცს, მაგრამ არ ეყრის გულში, თუმცა მისი ცოლია. რამდენიმე წელიწადია ერთად ცხოვრობენ. მალი კარგად იცნობს ქმრის დინჯს შავის წეერით შემკულს სახეს, მისი ყოველი მიხრა-მოხრა ზეპირად იცის. წინდაწინე შეუძლიან თქეას რანირად გადაფურცლავს ეხლა წიგნს. ის ისე ახლო ზის ქმართან, რომ ერთის ტანისამოსი მეორისას ეხება, მაგრამ მაინც-და-მაინც ქმარი მას არ ეხვევა.

აი ქალი ვაშტერებით, თითქმის შეუგნებლად უცქერს მას; ქმარი გრძნობს მის ცქერას და არიდებს თავის ციცს, უყინო სახეს. ისიც აფრეთვე ციფად ცქერას იწყებს წინააღმდეგს მხარეს. ისინი ისე ახლო არიან და იმავე დროს ისე გაუზომელად დაშორებულები ერთმანერთისგან. ახალგაზდა ქალი შიშით და ჩუმის ცახცახით ზომავს იმ უბსკრულის სიღრმეს, რომელიც მათ აშორებს. ისინი ესე მჭიდროდ არიან შეკაეშირებულები, მაგრამ მათ შორის არ გაგონილა ერთი გულწრფელი, მევობრული სიტყვა: ციფად და უგულოდ ელაპარაკებიან ერთმანერთს. იმათ შორის უნილავი რამ არის, რომელსაც ვერავინ ხდეავს, რომელსაც თითონ არა დროს ახსენებენ, თუმცა კარგად კი გრძნობენ, —უბსკრული, ბნელი უბსკრული! ხანდახან მათთან დაიარებიან ნაცნობები; ისინი მაშინ ბაასობენ, იცინიან, უკრავენ როიალს. უცხონი მათ ბედნიერს მეუღლეებად თელიან, იმიტომ რომ სტუმრების წინ ლაპარაკოპენ, ხარხარობენ, მევობრულად ექცევენ ერთ-

მანერთს. თეით მათ კი კარგად იციან, რომ ეს მარტო კუ-
მედია. როცა მარტონი რჩებიან, უბსკრული მაშინევ იხსნება
და ყველაფერი უწინდებულს სახეს იღებს.

რამდენიმე კვირის წინად სასიხარულო ანბავი მოუხდათ.
შეარჩა კარგი ალაგი მიიღო, ჯამაგირი მოემატა. დედამ ახარა
ეს სასიამოენო ანბავი: „გიხაროდეთ, შეილებოვო!“ ნაცნო-
ბების მილოცვას მოჰყენენ სასიამოეზო საზრუნავები: უნდა
უფრო მოზღიული სადგომი დაექირავებინათ, ახალი ავჯუ-
ლობა ეყიდნათ. ეს ორისთვისვე საინტერესო საქმე მათ წამდა-
უწუმ აგონებდა, რომ ისინი მჭიდროდ იყენენ დაკავში-
რებულები. რამდენი რამ უნდა გადაეწყვიტათ ერთად! უნე-
ბურად ეკიდებოდენ ერთმანერთს მეგობრულად და თანაგრძნო-
ბით. ზეგონებოდა, რაღაც მომხიბლავს შეერთებინა ისინი
უხილავის ხიდით. უბსკრული უფრო და უფრო ეიწროვდე-
ბოდა, შეუნიშნავი ხდებოდა. მრთი გაბედული ნაბიჯი კიდევ
და იმასაც გადასცდებოდენ.

ისინი ახალს სადგომში გადავიდენ და მალე მიეჩივინენ
უფრო განცხრომილს ცხოვრებას. მხლა ისინი გრძნობდენ,
რომ ერთს მათგანს ნაბიჯი უნდა გადაედგა, რომ დაახლო-
ებულიყვნენ. მარმავე იცოდა, მაგრამ ვერც ერთმა გადადგა
ეს ნაბიჯი. რა იყო ესა: კერპობა, ულონობა. თუ ჩავონება?
ახალს გემოიანად მოწყობილს ოთახებში ისინი ერთი მეო-
რის გეერდით ისხდნენ და სახე უფრო და უფრო უნაღელიან-
დებოდათ. უბსკრული მათ აშინებდა, რომელიც აქაც გად-
მოჰყეა. მათ დაპარგეს ყოველი გამბედაობა, ყოველი იმედი;
დამუნჯდენ, უბსკრული უწინდელები გაგანიერდა. დრო
მიდიოდა; ფიცხი, მაღალი სიტყვა ხან და ხან შეარ-
ყევდა ხოლმე მათ მყინვარე მყუდროვებას. შეარჩები გულმოსუ-
ლი კაცი იყო, ცოლი უთმობდა. ეს იმის დამტკიცება იყო,
რომ სულყველაფერი უწინდელები უნდა წასულიყო.

მართლა ესე უნდა ყოფილიყო, ან ყოველთვის ესე იყო?
ქალი იგონებდა. არა, ყოველთვის ესე არ ყოფილა.

როდისღაც მის თავი გულზე ნაზად ესეენა ხოლმე ქმარს,
რომლის ხმაც მაშინ ისეთი ალერსიანი იყო. ისინი ერთმა-

ნერთს ტრაფობით შესცემულდენ, იღიმებოდენ, და იმათ გულები შეერთებულები იყენენ. რა შორეული ანბავია ეს! თითქოს სიზმარში ენახოს. პრა სჯეროდა, რომ ის ოდესმე ასე ბედნიერი ყოფილიყოს. როგორ შეიძლებოდა, რომ ასეთი ცელილება შომხდარიყო?

ვაჟი ძრიელ გულმოსული იყო, ხშირად წამოისერიდა ხოლმე მკვანე, მაგარს სიტყვებს. მალი ერა ნიშნავდა ამას არც დანიშნულობის დროს, არც დაქორწინების შემდეგ პირველს ხანში. მტყუბა, ერთი თავის თავს ძრიელ უგდებდა ყურას. მხლა კი არაუკრს ერიდებოდა და ხანდახან სულ მცირე სიტყვის შებრუნებას, სულ უბრალო უკმაყოფილებას შეეძლო მისგან გამოეწვია ცუდი უკადრისი სიტყვები.

შალს ადვილად სწყინდა, კარგა ხნობით არ შეეძლო დაევიწყნა, ეპატივებინა. ის გახდა თავდაჭერილი, ქმრის ნდობა აღარ ჰქონდა, ერთგულად აღარ ექცეოდა. მმარმა ეს შენიშნა და დაუწყო უკედრება; თხოულობდა, რომ იმას მალე დაევიწყნა ჯავრობაში წამოთქმული უკადრისი სიტყვები. ცოტცოტად იმათ შორის აიმართა ჩაღაც უხილავი მსახლერავი კედელი.

შოლოს ბედის გადამწყვეტი წუთი დადგა.

მმარი შინ დაბრუნდა მოლუშული, გაცეცხლებული ჩაღაც უსიამოენობით სამსახურის საქმეების გამო. ცოლმა იცოდა, რომ ამისთანა შემთხვევაში ყოველს უბრალო რასმე შეეძლო მის მოთმინებითგან გამოყენა, და ცდილობდა არ გაეჯავრებინა. მაგრამ ბედზე ჩაღაც ქაღალდი დაიკარგა, რომელიც ქარს დასკირდა.

ამან მკაცრად დაუწყო უკედრება. ამდერეულმა ქაღმა გაჯავრებულის ხმით უპასუხა. მაშინ იმან ხელი მოავლო მხრებში და მრისხანედ გაგდო იქით. შალს არცკი შეუყვერნია. ხოლო მაშინვე გაეიდა სახლითგან და გაემართა მშობლებთან, რომლებისაც ის ერთად ერთი, საყვარელი შეილი იყო. ქმარი თან გამოეკიდა, შენდობა სოხოვა და შინ დაბრუნა.

შალს სხვა ნიირად არ შეეძლო მოქცეულიყო, ჩაღვან

არ უნდოდა კერძობა გამოეჩინა. ხოლო პატივებით კი არ აპატია და არც სიყვარულით შეეძლო მოჰკიდებიყო. ქმარს კი უნდა ეგრძნო, რომ მსხვერპლი, რომელიც მან გასწია თავის დამდაბლებით, უსარგებლოდ დარჩია.

იმ ღამეს ისინი შინაურულად ისხდენ ერთი მეორის წინ და ხელი ხელთაც ეჭირათ, მაგრამ ეს მეზობლობა უწინ-დელებზე არ აღელებდა ქალს. ზარეგნობით უკელაფერი ძეე-ლებურად იყო, მაგრამ ორსავე უყურებოდა, რომ მათ სიყვარული ნამდვილი აღარ იყო. მუმა ამ ღროს განმავლობაში ერთი მკახე სიტყვაც არ წამოთქმულა, მაგრამ მათი გრძნობა ნელ—ნელა გაქრა ლამპარიერით, რომელ შიაც ზეთი ილევა.

უბსკურული შეუნიშნავად უფრო განიერი, უფრო ღრმა ხდებოდა. მამარტოებულები, თითქო დადამბლაერებულები, გა-შორებულები იყვნენ ბარელის ჯურლმულით. დიდიხანია, ღი-დიხანია ისინი ასე ცხოვრობენ და ას ცოლი ზომავს უბ-სკურულს და შიშითა კრთხა. როგორ მიაწიეს აქნობამდის? ერთხელ ხომ ერთმანერთი უყვარდათ! მხლა? ზანა კიდევ აქვს ქმარს ისეთი გაელენა იმის სულზე, რომ აღამბლაერებს მას? თითონ ქმარი? აი, ის თვალებს აპყრობს, მაგრამ იმას კი არა, არამედ ლამპარის, რომელსაც სინათლეს უმატებს, და მერე ისევ შლის ფურცელს.

რა ხდება იმის სულში? ქმაყოფილია? შალმა არა იცის-ა, მის სული გაუგებარია. მალი მწუხარებით ფიქრობს, რომ ქმარი მისთვის უცხო შეიქნა. ხანდახან ვაერ სახე-მოღუშული შეხედავს ხოლმე მას; მაგრამ რას ნიშნავს ეს, სიძულილს, ჯავრს, ან იქნება, ჩივილს, ტანჯვას? რაც, კიდევ რომ შეეძლოთ მათ ერთმანერთის ხევნა, ბედნიერის ღიმილით ცქერა. ამ აზრთან ქალს რაღაც ტკბილი ჭრუანტელი უვლის სხეულში. მრთხელ და ორჯერ არ მოსელოდა მას ეს აზრი, ერთხელ და ორჯერ არ გაეთბო ამ ოცნებას მის სული. მაგრამ შეხედავს თუ არა ქმარს სახეზე, უბსკურული ისევ იხ-სნება. ცოლი უძრავად არი ერთს ალაგს, თითქო მიკრულიაო, და ხელებს არ აწედენს ქმრისკენ.

თავის გულში ცოლი ქმარს ეუბნება: „ეს გამარტოება

ასე მოსაწყენია, სიყვარული კი ისე კარგია! ნუთუ ჩვენ მუდამ ასე უნდა ვიყვნეთ? ჩენ ხომ მარტონი ვართ ქვეყანაზე. ღმერთო დაგვაერწყე, რომ... დაგვაერწყე, რომ ჩვენ შორის ასე დიდი უბსკრულია. ჩენ ერთმანერთი აკი გვიყვარდა და აკი ბეღძიერებაც ვიყავით. რაც მოხდა, საძაგელი სიზმარი იყო.“ ტუჩები კი მოკუმულები ჰქონდა. საოცარია, რატომ მაღალის ხმით არ ამბობდა ამას. მითონაც არ იცის რატომ. ქალი ღრმად ოხრავს, ვაჯი კი თავსაც არ იღებს: დიდიხანია ისინი ერთმანერთის ოხრა-ლიმილს ყურადღებას აღარ აქცი-ვენ.

ბუხარში ცეცხლი გაპქრა. მარი ჩაეთმა და ჭურიში მყუდროება დამყარდა, საათს კი ისევ თავის შემაბეზრებლად წიკ-წიკი გაუდიოდა. მარი დგება სანთლის ასანთებად, მის სახე სერიოზი და ღინჯია. მალის დროა.

ცოლს რაღაც ელდა ეცა, გული უჩქროლდება, თითქო ქმარი მას სამუდამოდ სტოკებდეს. მალის აზრები ისე მჭიდროდ იყენენ შეკაფშირებულები ქმართან, ვიდრე იქ იჯდა; ის, კი ესე გულგრილად სწყვიტავს მათ შემატოთებელს უხილავს ჯაჭვს და მიღის. ზული ქალს ისე მაგრად უცემს, რომ ლა-მის გაუსკდეს. რა იქნება რომ ოთახში შესვლის დროს ღუ-მელითგან გამოვადეს რამე მომაკელინებელი სუნი და მის ქმარი მოკვდეს? ან ლამე სიზმარში რომელიმე ქალი ნახოს და ხეალ მასთან წავიდეს? ამისთანა რომ არ მოხდეს რა; ხეა-ლაც ისე იყვეს, როგორც დღეს, სულ მუდამ ასე? მალი ზიზ-ლით ფიქრობს ამ ნაირს ცხოვრებაზე. ან როგორ გაუძლო ამდენი ხანი ამ ცნოვრებას? ისევ ცოლქმარის სიკედილის სუ-რათი წამოუდგა. ის თავის დღეში არ დაივიწყებს ამ მკვდრებს, როგორც მის გულში გაუმაძლარის სიყვარულის ამშლებლს მოჩენენებას.

ქმარი წიგნს იღებს, და კარისკენ მიღის. უკან არ იხე-დება ცოლისკენ და დღეს, სწორედ დღეს, არ ეუბნება ჩვეუ-ლებრივს და ციქს „ლამე მშეიდობისა.“ მიღის, მიღის.

ცოლი რაღაც უძლეველის მისწრაფებით იძულებული,

შეუგნებლად გაექანება კარისკენ: „ეხლა, ან არა დროს!“ რა უნდა—თითონაც არ იცის.

შმარის ესმის ფეხის ხმა, ტანისამოსის შრიალი და უკან იხედება. ზაოცებით უცქერის. მაღვი მისგან სამის ნაბიჯის სი-შორეზე ჩერდება. უბსკრული კიდევ იხსნება. წინ ვეღარ შეუძლიან წაწევა! მკვდარსაეით უციედება ასოები, და ვეღა-რა გრძნობს, რომ ცრემლები გაფითრებულს ლოცებზე ღა-პალუპით ჩამოსდის.

შმარი წინა სდგავს ნაბიჯს, ერთს ნაბიჯს მარტო, და სანთელი ხელიდგან უვარდება. ღრმა ოხერა ისმის მის გუ-ლითგან, თითქო რამე ღიდი ტყირთი მოიშორაო და... რო-მელი მოვეხია პირველად, გაუგებელი დარჩა. მაღვი ვერა-ფერს ხედავდა: გულამოსკენით ტიროდა. მარტო გრძნობ-და რომ ორს მძლავრს ხელს მიეკროთ გულზე, რომე. ლიც ისე მაგრად სცემდა როგორც ის ოცნებობდა.

უბსკრული გამჭრალიყო.

ჭია.

~~~~~ ღ. კარაჭავი.

ხალხური ლექსიგი.

ჭახეთში გაგონილი

ოცდა ხუთსა იმერელსა  
წინ ტურა შემოეერათ,  
სანამ ტურას გაიცნობდენ  
სული სორცად გაეერათ.

—  
სომებშა თქვა: დავსწრებოდი,  
გუთნის გვალში ჩავწებოდი,  
ზედ მიწას გადავიურიდი,  
ერბოსავით დავდნებოდი.

ශ්‍රීතලුණිමා තැවා: දායුත්ත්‍රේදෝදා,  
 නාම්දකිඟිත දායදගේදෝදා,  
 අන මොයුලාවදා, අන මොයුලාවදා,  
 අන මොයුලාවදා.

\* \* \*

ඩායාත්ත්‍රේදා පුරුෂා  
 තතෙනෑ ගුත්ත්‍රාන මිත්තාම,  
 ලාමාත් කාලු ගාම්බුද්‍යාන්ත්  
 උරුමලා දාඩන්ත මිත්තාම.

\* \* \*

අසාලු-අසාලු මෝතෙටු  
 ජාය්‍රේ අර්ථ ගාම්බුද්‍යාත්,  
 ගුරුදිස ඊශ්වර ඊශ්වරාලා  
 උරුමලා දාඩන්ත නාජ්‍යාදා

\* \* \*

කාලා, කාලා ගිරුණිතාම,  
 නාම්බුද්‍යාදෝ ඊශ්වරිස මිත්තාම  
 බිජ්‍යාදි නාම්බුද්‍යාදාන  
 නාගාම්බුද්‍රේව්‍යා උරුමලා-මිත්තාම,

දායාදා.

සාල්චාරි ඡාම්බුද්‍යාධිපති.

දායා ජ්‍යාත්‍ය මූලි තැවා ප්‍රේමන්දා, දිංජාද ගාම්බුද්‍රේදා,  
 ග්‍ර්‍රතා තැවා ග්‍ර්‍රතා ප්‍රේමන්දා, ග්‍ර්‍රතා මාදාද ගාම්බුද්‍රේදා;  
 ග්‍ර්‍රතා තැවා මිත්තා, මිත්තා මිත්තා ප්‍රේමන්දා,  
 මාදාද තැවා මිත්තා මිත්තා ප්‍රේමන්දා.

三

ორედ, სამად გამოქვრილი ა იმართოს, ფეხზედ დადგეს,  
გარდიქცეს და გადმოაქცეს, შერმე ისევ ფეხზედ დადგეს,  
ზამარის დღე და ზაფუნელის დღე მოიხსელილის, მის ქვეშ დაკვეჩა;  
ვინც ესა კარგად ვერა სცნას წამოდგეს და ფეხზედ დადგეს.

ନେଇବୁଥିର ଅଭିଭାବକ କାହାତିଲ୍ଲାଗି ତାଙ୍କରିଲେ କାହାର? (\*)

როცა საკვირაო გაზეთი „თეატრის“ სანიმუშო ნომერი  
პკავის ლოცვა კურთხევით და პოეტთა პატრიარქის სურათით  
ჩაგვიყარდა ხელში, მის „პროგრამაში,“ ან შინაარსის მაჩვე-  
ნებელში, პირველი ადგილი შემდეგს განყოფილების ეჭირა:  
„გაზეთი „თეატრი“ თვალ-ყურს ადვენებს თეატრის მსვლელო-  
ბას, მის აფ-კარგიანობას; დაბეჭდავს წარმოდგენების რეცე-  
ზიებს და სხვა...“

სხეა პროგრამის ნაწილშედ არას ვიტყვეით, რადგან კარგად თუ აეად, ცოტად თუ ბევრად, მუდმივ თუ დრო გამოშვებით, დაქმაყოფილებული ვიყავით, ჩეენ გვინდა მხოლოდ ყურადღება მიეაქციოთ გაზეთი „ოფიციალის“ თეატრისადმი დაპირებას და ამ პირობის შესრულებას.

„გაზეთი მეტრი თვალ-ყურს ადექნებს მეტრის მსკლელობასო.“ მე კი მონია, ბ. ჩედაკტორი, თქვენმა გაზეთმა ჯერაც არ იყის:—მთელი სტონის განშევალობაში ქართული მეტრის მხედართ ბულანეეს მხარე ეჭირათ, თუ ბისმარკისა? ბოლგარიის მთავრათ პრინც მლენბურგისა უნდოდათ, თუ თავადი სამეცნიელოსი? ამათ კი გაცხარებული შეთქმულობა ჰქონდათ თურმე, აჯანყების ღრიუც დანიშნული იყო, მაგრამ განა ამდენი კეთილის გრძნობით აღჭურებილ პირთა

გენეტიკო ამ წერილს, მაგრამ პასუხს ვერ გაძლიერ უადგილობრივს გამო.

५०८

გუნდში ისეთი არამზადა ეინშე არ გამოერევოდა, რომელსაც შეთქმულნი გაეცა? თქვენ კი თქვენის გაზეთით სულ ამეცნიერების გულ-გრილიად უყურებთ და ხმასაც არ იღებთ, როცა ამ საგან-ზედ ზრუნვა თქვენს გაზეთს უფრო ეკუთვნის, ვიდრე სხვას.

„სხვას!“ თითქო ბევრი სხვა გაზეთები გვქონდეს! 1-ივენტრია, 2-ივანტრია, 2<sup>1/2</sup>-ისკარი (ცისკარის ნახევარ რიცხვს იმისთვის ვაძლევ, რომ ჯერ ერთობ მცირე წლოვანია).

„ივერიას!“ თეატრის ზედამხედველისთვის პირობა მიუცია: ცუდად წაიყვან საქმეს თუ კარგად-შენზედ არას დასწეროთ. ან შინაურის საქმეზედ სად სცალიან, როდესაც ბისმარკის აჩრდილი ძვალ-რბილში გასჯდომია, თეალ-წინ უდგას; მისი საომრიად მზადება შავ-აბაზის საქართველოზედ გამოლაშქრებას აფონებს და ბოლოვარის გაუთავებელი პოლიტიკა მოსვენებას არ აძლევს. ვაშ ნუ დავემდურებით ამ პატივცემულ გაზეთს, თუ შინაურ საქმეს თეალ-ყურს ვერ ადევნებს, რადგან ბულანჭ-ბისმარკის და პბესინია-იტალიის საქმეებშია გართული. „ცისკარზედ“ სულ არა გვეთქმის რა; ამ გაზეთს სულ სხვა საგანი აქვს აღებული და აკი სხვაზედა ზრუნვას: კლდელრებს ძალიან აქებს და ბარჩე, ვაკეზედ თუმცა ჯერ არა უთქვაშს რა, მაგრამ იტყვის, თუ შემწეობას მისცემენ... „თეატრის!“ კი არ ეპატიება ამ გეარი ხანგრძლივი სიჩუმე თავის მოძმე თეატრის საქმეზედ.

მაშ, ბ. ჩედაკორია, თუ თქვენი ამდენი ხნის სიჩუმის ძალის გაწყვეტა თქვენ გეზირებათ, ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის შემწეობით ორიოდე სიტყვა ესთქვა ამ საგანზედ.\*)

არა ერთხელ გაგვიგონია ქართული დრამატიული დასისაგან სამდურავი ქართველ საზოგადოების გულ-გრილობაზედ. არა ერთხელ უთქვაშს ჩემთვის ზოგიერთ ამ წევრთაგანს, როცა თეატრის დარბაზში მაყურებელთა რიცხვს ცა-

\* ) ამ წერილის დახმატება „უკრის“ რედაქციას ვარებე, მაგრამ პასუხი შეად მივიღე: „სეზონი კიდევ გათავდა, ქლად რაღა საქოროა... დიდი ხანია თეატრი არაფერი დაგვიწერია... და ამისთვის ქლად მაგ წერილი უკვლავ დაგვიწერია“.

რიელი სკამებთა რიცხვი აღმატებია: „აი, ი—ჯან, ჩას გვემდურით, რო უუდად ეარღვენთ, კარგათ რომ წარმოვადგინოთ მსმენელნი ეინ გვეყოლებაო?“

— მართალი ხარ, მართალი, ჩემო პ—რე! მიმიგია მეც, მაგრამ... აქ კი ხშირად სიტყვა გადამიყლაპავს.

თეატრი არის საერთო სკოლა, რომელსაცა სჭირია თავის საგნების მტკიცედ მცოდნე მასწავლებლები და გულწრფელი სიმართლის პატრიონი, თავის დანიშნულების შემზები და შორს გამჭერეტი ზედამხედველი. ამ უკანასკნელზედ არის დამოკიდებული მსახიობთა ერთობა და ერთობაზედ თეატრის მკილა ნიადაგზედ დაყენება...

თუ კი მსმენელნი იმ ნაყოფს მოკლებულნი იქნებიან, ჩასაც მაგ გვარ სკოლიდამ მოელიან, მაშ ჩამ უნდა მიიჩიდოს ეს უმართლოდ ბრალდებული საზოგადოება? იქნება, ბატონებო, გვონიათ, რომ აქტიორთა და მათ ზედამხედველთა ზრდილობას გარდაქარბებულმა სიტყვებმა დააკმაყოფილოს საზოგადოება?! არა, ჩემო ბატონო, ეს არ კმარა! ამ გვარმა მამლა—ყინწობამ ჩვენ ცოლ-შეილთანაც მოგვაბეზრა თავი და ჩაღა საჭიროა, რომ ისევ ეს იქაც გაეიგონოთ, საიდამაც სულის საზრდოს, კუჭყის მაჩვენებელს სარკეს და მის მომბანს ან კარა წყალს მოველით? აქ ჩვენ ეერ ეხედავთ საერთო სკოლის ასპარეზზედ იმ მასწავლებელთ, რომელნიც თავის მოწაფეთა სასაჩვებლოდ გულმოდგინეთ, თანხმობით და „უჩემ-შენოთ“ ილექტოლნენ. აქ ჩვენ ეერ ეხედავთ იმ პატრიარქ-ზედამხედველებს, რომელნიც, თავის მოქმედებით, მაგალითად გამოდგნენ. ამ წარსულ სეზონს სულ სხვა აღტაცებით, სულ სხვა იმედით მოველოდით, მაგრამ იმედი კვლავ როდის გავამართლებია რომ ეხლა გაგვმართლებოდა! ამ მოსალოდნელი ნაყოფის ნაცელად რაღაც „ჩემ-შენობამ“ გაიდგა ფესვი. ვინ არ დამეთანხმება, რომ უმცროსმა უფროსის სურვილზე უნდა იაროს. ეხლანდელ რეჟისორსაც თურმე ძალიან ჰყვარებია ამ გვარი მორჩილობა: ოღონდ იმის სურვილზე იარე და რაც გინდა საქმის ინტერესის წინააღმდეგ იმოქმედე არა უშავს რა, ყველაფერში მართალი იქმნები. მს ყველა კარგი, მაგრამ

რატომ აზ ეცით, რომ ამ გვარი ქცევა უსათუოდ ასე გა-  
თავდება, რომ რომელიმე საუკეთესო მოთამაშე სცენას თავს  
დაანებდებს. ჩენ, საზოგადოება, რის შუაში ვართ, რომ, სანამ  
ფარდა აიხდებოდეს, გამოდის ფრთა მოკვეყცილს ტანისამოსში  
„ცხრა-რჯულასაცით“ წევრ გამოაჩისული ჭაბუკი და აუხა-  
დებს: ბ. ა. ავათმყოფობის გამო და ქ. ბ. მაგიერ ითა-  
მაშებენ: პირველის როლს — ბ. N და მეორისას — ქ. N — ა.

ამისთანა გამოცხადება, ერთის ნაცელად მეორეს თამა-  
ში და ამის გამო პიესების დამახინჯება ერთობ ხშირი მოვ-  
ლენაა, რომელიც სულ სხვა ეჭის ჰერის მაყურებელთ და  
გულს უცრუებს თეატრზედ. ამის დასამტკიცებლად შორის  
წასელა აზ დაგვჭირდება. საკრიტიკო აეილოთ 4 და 15 ფეხერელის  
საღამოს წარმოდგენები.

პირველი — ჩენი პატივ-ცემული არტისტი-ქალი ზაბ.-ცა-  
გარელის ბენეფიცი და მეორე — წარსული სეზონის გამოსათ-  
ხოვარი უკანასკნელი წარმოდგენა. თავის ნიჭით გამოაჩინილი  
არტისტი ქალი ზ-ც-ლის ბენეფიციმა როგორ ჩაიარა, თუ  
ბრძანდებოდი, ბ. რედაქტორი? ნერა საღ გაქრა ის პატიო-  
სანი-პირი, რომლის სახელს სამი-ოთხი დღით წინეთ გაზე-  
ობის პირველ გვერდზედ მოთამაშეთა რიცხვში პირველი  
ტების პირველ გვერდზედ მოთამაშეთა რიცხვში პირველი  
ტურნიდგან“ ძმისგან ძმათ უნდა ჰსმენოდათ? რა თქმა უნდა,  
პირველს — „ჩემ-შენობამ“ დასძლია და მეორე (ძმური სიტყვა)  
შურმა გადაყლაპა.

პიდევ მობენეფისემ გამოაფხისლა ეს უფერული საღამო.  
პიდევ მან გაუფანტა საზოგადოებას ის უკმაყოფილების გა-  
მომეტულება, რომელიც გვეუბნებოდა: „არც ჩენ ვართ  
სი-დამნაშავე, თუ თეატრს გულ-გრილად ეპურობითო; სი-  
ტყვით ოქროს გვიქადიან და საქმით კი თუჯს გვაძლევენო.“

თავი დავანებოთ ამ საღამოს, მეორე უფრო ყურად-  
ლების ღირსია და საგულისხმო.

შეიდი საათია. თეატრისკენ მიეისწრაფი. სეზონის უკა-  
ნასკნელი წარმოდგენაა და მეშინიან ვაი თუ ბილეთი ერ

ეიშოვნო მეთქი, მაგრამ სულ ამაოდ:—ხალხი ძლიერ ცოტაა; ბილეთს ერთის ფასად ორს იშოვნო. ზარი დააწყარუნეს; მუსიკამ „შეშლილის“ გალსი დაუკრა. მეორეთ ჩამოჰქმეს ზარი, მაგრამ ხალხს მაინც არ ემატება; დარბაზის კარებთან რაღაც უცნაური შესამოსით ბილეთის მყლაპავნი დგანან და სტუმართ ეპატიებიან. აკერ ყველამ თავის ალაგი დაიჭირა... შენს მტერს იმისთანა, რომ წარმომადგენლებს პირველ თვალის გადავლებაზედ გულს შემოეყრებოდათ! სულ „შეიდ-ნახევარი კაცი იყო და ხუთ-ნახევარი ქალი.“

ამა, ჯერ ფარდა არ ახდილა! ურთა შეკვეცილ ტანისა-მოსში, ჩევნი ნაცნობი, „ცხრა რჯულასაეით“ წვერ გამოპარ-სული ჭაბუკი გამოძერა სორილამ და გამოაცხადა: „ბ. აბ-ძის ავალმყოფობის გამო, მის როლს ითამაშებს ბ. აწყურე-ლი და მ. ბაბ.-ც.-ლის მაგიერ „ურეპეტიციოდ“ მ. ანდრია-ნიკოვისა (ამ გვარი გან ცხადებები, ნავლევ ქალალდებზედ დაწერილი, ყველა კარებზედაც ეყიდა.) უნდა გენახათ ჩევნი გა-კეირება, როდესაც ენახეთ, რომ ქ-ნი გ-ც-სა მესამე რიგის სავარძელში გამოჭიმულიყო. მართლა რომ „ჯანყით და ბუ-რუსით“ მოცულმა აზრებმა გამიარეს თავში... შასაც უნდა ეთამაშა მაყურებელათ გამხდარა და დისი სახელიც არ იყო მოხსენებული „ურეპეტიციოდ“ თამაშობს! რა ძალა და გა-საჭირი დაადგა ამ „ურეპეტიციობას.“ ნუ თუ მ. გ-ც-სამ, უარი გამოაცხადა და ბ. რევისორი იძულებული იყო სხეის-თვის „ურეპეტეციოთ“ თამაში ეთხოვა?

მოუთმენლად ველოდით პირველი მოქმედების გათავებას; ამასაც ბოლო მაღე მოეღო — გათავდა პირველი მოქმედება. მრთს ჩემს ნაცნობს ვკითხე: თუ ბ. ა-ძე ავათ იყო, მ. გ-ც-სა რა მიზეზისთვის არ თამაშობს მეთქი?

— არც მე ვიცი ღმერთს გეფუცები! აი თეით მ. გ-ც-სა, ვკითხოთ, რატომ არ ინება თამაში? მიედით მ. გ-ც-თან მი-სი უთამაშობის მიზეზის გასაგებად და აი რა გვითხრა: მეც არ ვიცი, ღმერთმანი, რატო არ ეთამაშობო! ამ სალამოს სათამაშო ტანისამოსით მოვედი იმ აზრით, რომ

შეთამაშნა, მაგრამ პ. რეფისორმა მითხრა: თქვენს ნაცელად „ურეპეტეციონ“ მოთამაშე მოვიწეოდ, უასე ხომ ეერ ეე-ტყვიო, მითხრა და ზრდილობრანად ჟურგი შემომაქცია. მიზე-ზი რომ ვკითხე—ეს „ჩემი საქმეაო.“ მეტი გარკვევა არ უნ-და, მკითხველო, თქვენც კარგათ შიხვდებით—აქაც „ჩე-ნობამ“ გაიმარჯვა. მხლა დაუბრუნდეთ წარმოდგენას. წარ-მოდგენილი იყო ხუთ მოქმედებიანი დრამა, რუსულიდამ გადმოკეთებული (გადმოთარებული) „ცოლი—მეულლე“. საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, როლები თითქმის უკელამ კარგად იციდა; ამც „ურეპეტიციონ“ მოთამაშეს შეუსრულებია თავისი როლი ურიგოთ, თუმცა გვირჩევდა კი „ჩემისთან ქალი შეირთეთო“. მს ხომ „ურეპეტიციონით“ მოსალიოდა(?) მარგს სურათს წარმოადგენდა მეორე მოქმედე-ბის ბოლო, როცა პ. ვ. ი—ლი საზოგადოებამ გამოიწევია და ქართულმა დრამატიულმა დასმა დაფნის გვირგვინი მიართეა: ბ. ი... შეილი სახრჩობელაზედ მიმავალ დამნაშავესაეით შეშინე-ბული, თავ-ჩაღუნული გამოვიდა შეუ სცენაზედ და გაჩერდა; ბ. პლ. მესხი შ-ლა დაფნის გვირგვინით თავზე წაადგა და მიარ-თეა გვირგვინი შემდეგის სიტყვებით: „ქართული დრამატიუ-ლი დასი მოგროვდა დღეს და მოგართეა მს“. საშინელი სიცილი ასტეხა მაყურებელთა შორის ამ მოსწრებულმა სიტყვამ... სალამო უფრიულად გამოგვესტუმრა. წარმოდ-გენის შემდეგ ? . ი. შ-ლმა... ვახშამი გაუმართა თავის დამაჯილ-დოებელთ.

მრთი სიტყვით, ყველა ეს განლავთ „ჩემ—შენობის“ შე-დეგი. როდესაც საზოგადო საქმე საპირადოთ გადაიქცევა, მა-შინ ეს საქმე უსათუოდ ცუდად გათავდება. არ იქნებოდა ცუდი რომ ბ. ბ. თეატრის წარმომადგენლებმა შეიგნონ თა-ვისი მოვალეობა და შეინანიონ თავისი წარსული; თავისუფა-ლი დროც ეხლა აქვსთ: დრო სინანულისა და ცოდეის მო-წმენდისა. თუ არა და სჯობს გადიძრონ მონომაქის სარქმე-ლი, რომელიც არა ჩეცულს თავს დაუმძიმებს და წელში მოჰქმის.

ბ. რედაქტორო! ზანა ყველა ამას ოქეენ არა ჰქედაედით, განა ყველა ეს ოქეენ არ იცოდით, რომ გაიტურნეთ და კრინტი არ დასძარით. შეიძლებოდა, თქეენ რომ ხშირად გელაპარაკნათ თეატრის ავ-კარგიანობაზე—არ მომხდარიყო ის, რაზედაც ჩვენ ამ წერილში ვლაპარაკობთ.

ა. სენატები.



## უ ს ი ე ლ ი კ ი ს ტ ი

(გაგრძელება).

მომხედვება გაოთხე.

სინაღოდაში.

დაბალი რთახა; მარჯვნივ და მარცხნივ კარები გაღებულია. კედ-  
ლებზედ დახატულია ათის მცნებანი ეპრაულის ასოებით. სცენის სი-  
ლომებში ფარდაა ჩამოშევეული, რომელიც სინაღოლის შიგნითა ნაწილს  
თანახმადა ჭრის. ფარდა ბრძოლს აიძევა.

## გამოსვლა პირველი

(შემოდიან სანტოს და ჯე-სილვა; შემდეგ მოსამსახურე.)

სილვა.

მაშ მასთან ამ სის განმავლობაში  
არვის უშებდით?

სანტოს.

განთანისამებრ

იგი გოგელოვის სულ მარტო იყო...  
აქ რომ მოვიდა და ტაძრის კარებს  
დაჭრა, მან იგრძნო სედი უფლისა.

სილვა.

სედი უფლისა ქეებს როდი ისვრის.

## სანტოს.

მაგრამ უფლისა ერის რისხეამა  
 მას აგრძნობინა ის, როსაც დღემდის  
 უაუტობითა უარსა ჭუთდა.  
 გულ-გაღედილი, დასუსტებული  
 იგი დაეცა ძირს კზოშია,—  
 და აი ესლა სულ მარტოდ მარტო,  
 მოშორებული უოკელსაცე მას,  
 რაც დაურღვევდა მუედროებასა,  
 მოელის იგი თავისუფლებას  
 და შერიგებას.

## სილვა.

ღმერთმა ინებოს,  
 რომ აგრე იურას!.. უთხარით იმას,  
 რომ დედა აგად ჭაპე?

## სანტოს.

მაგისთვის  
 იმასთან შესვლა უნდოდათ მმებსა...  
 მაგრამ, რადგანაც მას ებ ამბავი  
 შეაძრწუნებდა და იქნებ გადეც  
 ჩაეთვალა ებ წეველის შედებად,—  
 ჩემ არ შევუშვით.

## სილვა (იქით).

გიშ რა მაღაზ  
 უფროხილდებან!

## სანტოს.

თვეითონ იყდითმაც,  
 მანასეს ქალმა, რომელმაც ჩემი  
 წეველა აიგდო სასაცილოდა,  
 არა ერთხელა ითხოვა ნება  
 მასთან შესვლისა...

## ცილვა.

მასაც, კით სხესაც,

უარი ეყო?... მოღად ამსტერდამი  
 დელაგს იმ აზათ, რომ აწ მეორედ  
 განდერსტრატენი გაკოტრებულა.  
 კით წევრიმა კრთის მდიდარის ფირმის  
 ბენ-იახაძმ მოახერხა ეს.  
 ჩემი სიმამრი მანასე ბაღში  
 ცხვრობდა მარად ტებილის ოცნებით;  
 სტატუების ჭდა შადრევნებ შორის,  
 თვით ჩვეულებას არ დაღატობდა  
 და შემთხვევლს მხალეოდ სარტყავდა...  
 ამ დროს სასიმომ დამუნებულმა  
 იგი გააპა ისეთს ბადეში,  
 როგორსაც ესლა გენერაში  
 და დონდონშია მოქამდებ სოლმე,  
 როცა უნდათ, რომ ეკედა გაჭრები,  
 კითა თახევებნი, ერთს მიესიონ...  
 განდერსტრატენი აწ იღუპება, —  
 და იოხაძმ, კის გულშიც მტრობაშ  
 კერა და მრიტა ტრიფობისა აღი,  
 სურს ისარგებლოს მის გაჭირვებით  
 და უწევდის სელას საქმეებისა  
 მორიგებითა გასათავებლად.  
 მაგრამ საკითხი აი რა არი:  
 ნება აქვს იგდითს დაუოუმდეს იმ დროს,  
 როდესაც იმან თავისი თავი  
 მამისათვისა უნდა გასწიროს  
 ნება აქვს იმას შეუღრეს ესლა?  
 საშინელს ტანკებს-მეგობრის დალატს,  
 თუნდა სიკედილსაც, რომ იხსნას იგი,  
 კისაც სიცოცხლე არ შეუძლიან,  
 რაკი მოჰყლდა ბედნიერებას,

რომელშიაცა წინად ცხოვრობდა?—  
სწორედ ის, რასაც ურიელისგან  
თვით მოეღოდა—რომ უარ ეყო  
სატრიტოს, დედის და მმების გულისთვის,—  
ამ თვით უნდა ჭემნას მოხუც მამისთვის.  
თქვენ კი ურიელს ურგელის ეს  
დაუმაღლებოთ.

## სანტოს

სინაშ სინანულს

არ გაათავებს, იმისი ნახვა  
ძრიელ სასტიგად აკრძალულია  
და კერც ვისიმე წერილს გადაკრემთ. (უმოღის მოსამსახური  
წერილით)

## ეოსამსახური

წერილი არის აკოსტასთანა.

## სანტოს

არ იცოდი, რომ მისი მიღება  
არ შეიძლება?...

## ეოსამსახური

იმის ერთმა მმამ  
მოიტანა და წრემდით თხოულოს  
დროით გადაკრეთ.

## სანტოს

წაიღე უკან

შენ ეგ წერილი. ნება არა გვჭიბს,  
რომ კელიაში, საც დამნაშავე  
სულს ინანიებს, გადაკრეთ რამე  
ქმედნის ამბავი (მოსამსახური გადის წერილით).

## სილვა.

ეგ სად სწერია?  
თქვენ უკრიალაკო, რომ იმის უურამდის

დედის ოსკორია არ მიახწიოთ?  
 თვენ ის გინდათ, რომ მან კერ გაიგოს  
 იყდითის ტანკვა და მწუხარება  
 და ცხოვრებიდამ მანასეს დაცრა?  
 თქენ ხომ იცით, რომ მას სურს უარ ჟირს  
 თვისნი იმეზნი, თვისნი რწმენანი,  
 თავის დედის და სატრუთს გულისთვის;  
 მაშ მითხარით და საკადრისია  
 ის დაუმაღლოთ მას ტანკვის დროსა,  
 რასაც უთვლიან ნუბეშ-საცემლად  
 სატრუთ და დედა?

### საცოლე

შეხედე, სილვა,

აკიბა მოდის აქ; იგი თითქმის  
 ას წლაში არის მიტანებული,  
 მაგრამა მტკიცე საწმუნოებით  
 ისეგ ჭაბუქს ჭაბუქს... იგი აკრასტას  
 თვით მისცემს ფორმას სინანულისას..  
 ასლა შენ წადი სინაღოდაში.  
 რაოდენიმე საათის შემდეგ  
 მოეღება შენს მოდოდინს ბოლო.

### სილვა,

მიგდივარ,— მაგრამ ამას კი გირჩევთ,  
 ბარგვა მოექცეოთ მომნანებელსა,  
 რომელსაც ჭაბუქ უნდა ქმადლობდეთ:  
 რადგან ასეთის კაცის მოქცევა  
 განამტკიცებს ძალს რაბინობისას!  
 ღმერთმა ჭმნას ეს ღლე ჭარგად გათავდეს;  
 რომ თვით თქენ მისი მონანება  
 სასანებელად არ გაგნდომოდეთ! (გადის.)



### გამოსვლა გვირე.

რაპინი შენ-აკიბა თას ასალგაზდა რაბინის ხელით შემოჰუვო; რაბინის გან-დერ-ემბდენს ხელში პერგამენტის გრაფილი უჭირავს; სანტოს; შემდეგ ურიელ.

აპიბა (რომელიც მოყვანეს საპატიო სავარძელოან სტო-  
ლის ახლო).

შეად არის აქტი უარ-უოფისა?

### ეგბლე.

ღირსო რაბინო, აქ არის, იგი  
ეტრატზედ სწერია.

### აპიბა

მოვიდეს აქ

უქანასკნელად შემნანებელი.  
თქენ სუეგელანი გარს მომისხედით  
და დამერწმუნეთ—უოკელივე ეს  
ბეგრჯელ უოფილა.

### საცოლე

აი აკოსტა.

### აპიბა

დიაღ, უოფილა! დაჯექით, მმანო!  
და ე მსდენმა დასწეროს, თორემ  
სიტუაციი ცაში გაფრინდებან...  
დიაღ, უოფილა ბერველ,—მერწმუნეთ,  
ღირსონ მამანო! ეპიკურობა,  
რასკოდნიკობა, სეჭრატორობა—  
უოკელივე ეს ასალგაზდობას  
ჰგონია ასლად შემოსულიყოს! —  
ასლად კი არა, —უოკელივე ეს  
გეღავაც უოფილა, დამერწმუნეთ მე;  
ჩვენს ტაღმედშია ასე სწერია...  
დიაღ, უოფილა უოკელივერი!  
(შემოდის ურიელი, გაყვითლებული და ქანც გაწევარილი)

### აპიბა.

დაკეტ, ურიელ! აგერ იქა სდგას—  
რაბინებო, მე სომ არა კცდეს?  
იქა სდგას სკამი?... რათ?... დაკეტი!  
იცით, ოთხმოც და ათის წლისა გარ...  
ამჟანში გაცი მაღე იღლება...  
ჰო, იღლება... დაკეტ... (დაჯდება.)

### საცოლე.

აკოსტა,

თქენ მოგლე გადა აგირჩევიათ.

### აპიბა

მოიცა, სანტოს! აწ ურიელთან  
თვით აკიბასა სურს ისაუბროს...  
დიალ, უოფილა უოგელი!... ხედავ,  
ხემო აკასტა, მუდამ უოფილა  
ლოდ გზა იჭვის მექონ გაცთათვის:  
ერთი მოგლეა, მაგრამ მნელია;  
მეორე თუმცა მნელი არ არის,  
მაგრამ პირველზედ ბეკრით გძელია.

### ურიელ.

მოგლე გზას გირჩევ! თუ გინდ მომქალით,  
ოდონც დროით გი! მომეცით ნება  
ისე მოგვედე, რომ დრო არ მჭონდეს  
მოფიქრებისა!

### აპიბა.

აბა უუურე!

რას ეჩქარებათ მაგ შენსა ფეხებს?  
იგინი ჭერ ჭერ დაისკენებენ  
და გაგოწევნ ბეკრჭელ სამსახურს!  
ჩეკენთვის კი არა, ურიელ, შენთვის  
საჭირო არის მონაიება!

მაშ აგრე ძელ რისათვის წესარობ?  
 ჩემის გულისთვის წე დაჩქარდები;  
 ღმერთი თუ გნახავს შენ შენანებულს,  
 თორებ იქამდის მე კერ გიცოცხლებ.

## ურიელ.

რთასფერ ხომ არ გავიძეორებ  
 მას, რაშიაც ჭარ დანაშაული  
 და რაც მრავალჭერ მითქვამს თქვენთვისა?

## აპიბა.

არა, არა! მე გიცი შენ არ გწამს  
 ტალმული, მარხვა და სინანული...  
 ასე უოფილა მუდამ, უოფილა...  
 ამისთვის გვითხავ უგანასკნელად:  
 აღვიარებ, რომ შენ შენის წიგნით  
 თავსედად დაგმე უფალი?

## ურიელ.

ღმერთი,

რომელიც მსოლოდ ეპრაელების  
 ღმერთია,— იგი სშირად მიგმა  
 და არ მესმოდა — ეს განაწენში  
 გაწერიათ თქვენ.

## სანტოს.

ჟოველავე ას,

რაც აღვიარე — სიცრუე იუო;  
 როგოროგობა და სოფიზმები!  
 დაგვიძეტეიც ჩენ იგი, რაცა გრწამს  
 და რის მორწმუნედ გინდოდა თავი  
 გეწენებინა.

## აპიბა.

დაგვიძეტეიცო?

ეს რა სთქია, დესანტოს? დავიტეიცოს?

აგადმეოდეს აგრე მოეშრებან!  
განა იქნება მის დამტკიცება,||  
რაცა გრწამს? რწმუნით უკაცრებად კი, —  
და ზოგჯერ თვით ხართ ეპიკურები!  
დაამტკიცეო! აბა თვით სცადე!  
მწერდაამტკიცეს: იგი ბრწყინვალებს.  
ცაცხლი დამტკიცდა: იგი სწამს ხოლმე.  
გამოცხადება დამტკიცდა: იგი  
სწერია აღთქმის ისტორიაში.  
არც ერთს არა გთხოვთ თქვენ დამტკიცებას.

ემბლემა (ურთიერთს).

ისე უბრალოდ გვითხვარი, აა გრწამს.

୪୬୦୯୯.

უკვე გათხარით და ქსლაც გეტეით.  
მე მრწამს, რომ ღერობა ამოარჩია  
კბრაკლები საკურელ ერად,—  
იგი მხოლოდ მათ ეცხადებოდა,  
იმათ აძლევდა აღუმალს ნიშნებს,  
მხოლოდ მათთანა ქორნდა კავშირი  
და იმათთანა ლაპარაკობდა,  
მათვის დასწერა გამოცხადება,  
რომლის ყოველი სიტყვა და ასო  
გორნებად ღეთისა დ უნდა მიგვაჩნიდეს.  
მრწამს, რომ მე შეკცდი ჩემის ჭეშითა,—  
და ნება არ მაქს ისე განვმარტო  
სიტყვა უფლისა, როგორც მე მინდა.  
კბლაკ გამეორებოთ, უოკელივ ქს  
მირწმენია მე სარწმუნოებით,  
მაღლობელი გარ თქენი იმისთვის,  
რომ უოკელივ დამტკიცებისგან  
მანთავისუფლებოთ.

(ঢাক্কাৰ খেল)।

## ბ. მეტასტელი!

როგორც მოგეხსენებათ ჩეიში მიღებულია, ორი უცნობი პირი ჯერ ერთ-ერთმანეთს გაიცნობენ (უკაცრავად, კი არ გაიცნობენ, ჩამოართმევენ ხელი და ეცვებან: მე X—ი ვარო, მე V—ი—ი) და მერმე დაიწყობენ ბაასს სრგადა-სახვა საგნებზე. მეც, როგორც წევრი „ჩეიში“—ის საზოგადოებისა, გაწვდიდ ხელს და გაცნობებოთ ჩემს თავს... გონ იცის, იქნება კიდეც ვიცნობდეთ ერთმანერთს, იქნებ წინაძალაც გვესაუბროს საღმე, მაგრამ რადგახაც ექლა აღარ გზვდები იქ, საღაც გზვდებოდი, რადგანაც „ჩეიშ შორის ჯანები“ და „ბურუსი“ ჭე-ფეს და არ გვაძლევს ნებას ერთმანეთის დანახვისას, ამითავის მე მსურს (თქვენ გურუა თუ არა, ეგ თქვენ უფრო გარგად იცით) ორივე სიც-ყვა გსტევა ჩემს ვინაობაზე და თუ მიცნობდით გენიშებით, თუ არა და გა-მიცნობა.

მე გარდავარო ის, ვისაც ბევრი იცნობს და... ბევრი არა. შეძახიან მართალია ძეს. ჩეელუებად მაქეს დაუკითხავად გამოვწევუ იქ, საღაც არას მყითხავენ; თუმცა ამ ჩეელუებისათვის ყველასგან „დევნილ-გარ“ მაგრამ რა გაეწეობა. გამიგონია „ჩეელუება რეალო უტრიცესიან“, და მარ-თლიც ყოფილია. რამდენის გცცდილობ ისე ვიღობარავი, ისე მოვიყენ, რო-გორც ჩემ „ბატონები“ მიბრძანებენ, მაგრამ რაენა, არ შემიძლიან; წინადევ უნდა შევჩეროდ ბატონების თვალ-წაჩში ყურებას და „გარგი“, „პარვისა-ნი“ და „ვდაფასებული“ კაცი ვიქნებოდი... ეს!.. მაგრამ... რაც არის-აყის. არ შევუვენის მზდალობა, მაში... „ვინც რა უნდა თევას, ბეჭელამ კი ფეხას.“

იქნება, მეოთხველო, იქვე გქონდეს ჩემი სიცუკვების სიმართლეში; იქ-ნებ მითხრა, რომ ბატონ-ყმობა დიდი ხანია გადავარდა და ექლა თუ გინმე ემორჩილება სხვას—ემორჩილება—ან „ხაზეინს“, „ან „ბარის“ და ან „ნაჩალ-ნიებ“ და არა „ბატონს“ მაგრამ აქ ცოცაოდენი რომ დაჭიქერდე, გამამართ-ლებ. ჩემის აზრით თუმცა ბატონ-ყმობა გადავარდა, მაგრამ ზერ არ გადა-ვარდილია: ყმები, მონები ისევ არიან, თუ მონები არიან, ამათ პატრიონიც უნ-და ჟევანდეს და, თუ ეს ასეა, მაში რას დაუძარებ ამ პატრიონებს, ამ მარანებლებს თუ არ „ბატონებს?“ არა, თქვენ შეგიძლიანთ სწვა სახელი დაარქება, მე კი „ბატონს“ უწინდებ. მეც სწვა ნაირად მეგონა, მაგრამ უძალინდ ექლა თუმც არავინ არის. „ბატონი“ და მარანებელი თვით იმასაც კი ჟე-ლია გინც ჭიქერის, რომ ის არის ბატონი, მარანებელი იმ აღვილისა რო-მელსაც ეკუთხის.. რადგანაც ქვევანაც ექლა ისეთი განდა, რომ ყოველი სიცუკვა, თუ მაგალითებში არ ჩასვი, მარგალიტებშიაც რომ ჩასვა, მაინც არ დაიგერებენ, ამისათვის მოვიყენ მაგალითს, ამას კი გოხოვ, რომ ეს გამ-უდავნება ჩეიში დარჩეს, თორმე ხომ იცი რაც მოხდება... ავილოთ ბისმარ-კისგან გარტაცებული თვით ჭ. თუმცა მე, ვიმეორებ, საქმე სულ სრვა-ნაირად მეგონა, მაგრამ თუმც ვცდებოდი: თვით ისიც კი, ისიც მონა ყოფი-

ლა. ო გინდა დასტურდე, ჩემთ ჭერხე იმის მარანებლებს: „НОВОСТ-ებს“, „Бирж. Вѣд.“—და სხვა ამათანა ბობოლებს... კიდევ ბევრს რამეს გერული, მაგრამ ამაზე მეტს არას გერულები ისეთი ერთგული მონა არის, რომ სულ იმათი სიცუკების გამოირჩაში აღამებს და ათენებს; ისე მიუწიდავთ, ისე დაუმონავებით ამ ბაჟონებს მისი სული და გული, რომ თავის ახლო-მხრით იმასაც კი გელარ ჭერავს, რასაც გერედავი ჩევნ“ უბრალი მომავლავ-ნი.“ უკაცრავად... მე სულ სხვა საქმეზედ მინდოდა ლაპარაკი და სხვაზედ კი გლოპარაკო.

მე მინდა, როგორც რიგი და წესია დადებული ახალ გაცნობილთ-ოვის, დავიწყო ლაპარაკი და სერა ახალ ამშებუ. რომ არ დაეღონდეთ, რო-გორმე გაეცარით დრო. ჩევნში ახალი ამშები ბევრია. ას: კვირას ოცდა იარს თებერვალს ბ. აღნიაშვილის ქართულმა ხორი, თავად აზნაურთა სან-კის თეატრში გამართა „სრულიად“ ახალი კონცერტი არცისცი ბ. ი. ი. რატილის ლოცვარიბით, სიმღერიში ქალებიც იუბაზნინ მონაწილეობას. ზოგიერთიც სამცერალებმა საზოგადოება ისეთ აღტაცებაში მოიყავა, რომ ქართველი დრომ. დასის წარმოდგენებისაგან დაღონებულმა სკამებმაც კი იგრ-ძეს მაუყრებლების აღტაცება და ერთმანერთს აწელებოდნენ. დიახ, ბაჟონო, ეს ასე იყო და ასეც უნდა ყოფილიყო. ბ. აღნიაშვილი და არცისცი ი. რატი-ლი დიდი მაღლობის ღარისხი არიან. ამათგან დაწყობილი საქმე საყურა-დ-ლება და ვინც ამ საქმეს არა თანაუკრძნობს, ის ცე დაივერცებ რომ ქართვე-ლი იყოს, თუნდ რომ იმისი გვარი „მე“—ზედაც ბოლოვდებოდეს. მყორევე-ლო, ამაზედ შენ დაფიქრდი და მე სანამ ორიადე სიტუაც გერუვი ჩევნი გაზეთების შესახებ. გაზ. „ცისკარმაც“ კი ორიადე სიტუაც სოქება ამ კონცერტზე და ამ ორ სიტუაციაში გავიგებო, რომ სხენებული ხორი თან-და-თან წარმატებაში მიდის. „ივერიას“ მე 40 წევ აქეც ნათევამი: „გუ-შინ-წინ, 22 თებერვალს, ქართველს თეატრში გამართული „იუ ბ-ნ. აღნია-შვილის ხორის კონცერტი. სამწერაოდ, ამ კონცერტს ნაცლებად დასწრო საზოგადოება.“ ეს „მოვლენაც“ გვარწმუნებს, რომ თემცა აღნიაშვილი არ არის არც დიდი ჩინის პატრიო, არც დიდი თაგადიშვილი, მაგრამ იმის-გან დაწუ-მილი საქმე კი საყურადლებოა. ტუმრიბა გაშევით და ეს საქმე საყურადლებო რომ არ ყოფილიყო, განა „ივერიას“ რედაქცია შეამოკლებდა იმ წერილს, რომელიც იწყობა ასე: „როცა ბისმარქმა შეატანა რეიხსტაგში თავის სამკედრო კანონ-პროექტი და“ — და სხვა. და ვიღაც აღნიაშვი-ლისგან გამართულ კონცერტს დაუმომდა ოთხ სკრიქონ ნახევარს? არა მგრინია!

ას კიდევ ახალი ამბავი. „ივერიას“ მიმართულება გამოიცვალა: რის-თვისაც წინად გვლანძვდა, იმისათვის ექლა გვაქებს. „ოუტრის“ წინად ლანძღავდა, ეუნებოდა: დაუდეგარი ხარ, სულ ერთქაში გვიდეგებარ, სულ ჩევნზე ლაპარაკობო; ექლა კი ჭიცხავს, რაცომ ჩემსავით არ იღანძლებით;

მე რომ „ცისგარს“ ვდანაძლავ, მსურს იმისი გადაულაპა, რაფომ შრარს არ მაძლევო. აი ბ. ივერიის ფ „ორანი“ რას ამჲოს № 33-ში, „ოფაური“ არც მტრს აქლებს ხელს და არც მოუგარენ.“ ...

ესლა კი ნაწვამდის, კადავ უეპხვდები, ჩემო მყორცველო, და თითო ახალ აშავს გიამობ

გაგაურიანო უპელი.

### სატრიუოვ.

სატრიუოვ, შენთვის დაფიბადე  
და გაფიცან შენი სახე;  
გიცან, გიცან, ჩემო კარგო,  
შენ დამიგე უეხ ქვემ მახე.

იგრძნე, გეგდები, სატრიუოვ, შენთვის,  
თან მიმევება შენი სახე,  
მხედავ, გეგდები შენს ალექსმი,  
გთსოვ, საფლავები ჩამომასე:

„სატრიუოსათვის დატანჯულო,  
მავს მიწამი დაიმარსე,  
თან წაიღე, სახსოვრადა,  
რაც რომ ჩემთვის ივაგლასე.“

o. დ.

გორგი და მანასა.  
გორგი

მინას პეტრუზიჩ, მიბმანეთ  
ფული კიდევ გაქვთ ეუთმია:  
გინ შეგიკერათ ეგ პალტო?  
ან რა უბოძეთ ქუდშია?

206161

შენთან ნაქონი ფულები  
ხელ უხლები ჰსმეგს ეუთმია,  
პალტოს და ქუდის გამუიღველს  
არ უჩივლიათ სუდმია.

ପ୍ରକାଶକ

კინც მოგოთხოვს ნამუშეავარსა  
შენ მას გაიწევა სულძია.

1881. Feb

## ၁၂။ တမ္ပလွှာဂြိုဟ်

კორელაციული დოკუმენტი

თელავიდამ გვწერენ: ამ თვის ცხრას წერა კითხვის-გამაცტე-  
ლებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იქნ ბალი  
კენისა ჩოლევაშილის თაოსნიობით თელავის კლუბის დარ-  
ბაზში. ამ ბალზე არ დაესწრო იმოდენა საზოგადოება, რამოდე-  
ნისაც იმედი გვჭინდა. საკარეველია, ღმერთმანი, წევნი საზოგადო-  
ების გულ-გრილობა... სად განწერა ძევლი ქართული გულ-უს-  
კობა და ჟორი საქმის მოუკრულობა!

სმ ბეჭინიერ ღღებში წარმოდგენის გამართვას აშირებდნენ აქაური სცენის მთევარენი, მაგრამ, არ კიცით რა მიზეზით, კედარ მოასერჩეს.

n. *Pyrrhula* ♀

# წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი

ახალი ამბეჭდი.

იბეჭდება და ამ ღლებში გამოვა ბ. აღნიაშვილის „უბის ლექსიკონი“. წიგნი გამოვა, როგორც შევიტევთ, მშვინიერის ედით და ჯიბით სატარებელი იქმნება. ამ პარაწა ლექსიკონში ასესილი იქმნება ქართულად თითქმის ერველივე ის სიტყვები, რომლებიც ჩვენში უცხო ენებიდგან შემოარეულა.

\* \* \*

კვირას, 22 თებერვალს, „პრუკოში“ პირველი გიმ-  
ნაზიის დარბაზ მოსწავლეთა სასარგებლოდ, რომელ-  
თაც მომავალს მაისში უნდა შეასრულონ კურსი, გა-  
მართული იქო კონცერტი. ფართო დარბაზი „პრუკის“  
თეატრისა ვერ იტევდა სასოგადოებას. ასალ-თაობის  
აღტაცებას სამსახური არა ჰქონდა.

(საზულისეო)

ერთმა ძალიან მდიდარმა პოლიტიკურადელმა, სახელად „მენარო“ ე-  
შეითოვ გრაფი ნ....-ს ძლიერ ლამაზი ქადა. ეს ქადი იურ  
ლარისი. ამ ქადს თავისი შთამომავლისა ნებას აძლევდა კოროლის  
სასახლეში სიარულისას და ერთხელ მაიწვიეს კოროლისგან გ-  
მართულს ბალში. ბ. „მენარო“ ბევრი ესკერს თავის „საწოცხლის  
ტელაპტანს“ ნუ წასკად იმისთვის ბალში, სადაც მე წემი შთამო-  
მავლისა მიშვიდის სიარულსათვის, მაგრამ, ოქეენ არ მომიკვდეო, და-  
მაზმა გრაფის ქადმა, ახლად გამდიდრებულმა, კურ მოისცენა და  
წავიდა. ბალში, რასაკვირველია, ბევრი უმაწვილი ქაცი მოიცვას

აღტაცებაში, მოიქანცა ტლინებით და ბალის გათავების შემდებ  
წამობბანდა შინ. სასლის ქარი დაბეტოლი დაჭინდა, ბევრი არახუნა,  
ბევრი რეპა ზარი, მაგრამ ქარი არავინ გაუღო. შემდეგ მიქართა  
თავის მეზობელს, რომ ამისაგან მაინც იქნება გაეგო მძიეზი  
ქარის გაუღებლობისა და გაიგო კიდეც. მეზობელმა გადასცა ბ.  
მენაროს წერილი, რომელშიც ქმარი სწერდა თავის ცოლს შე-  
ძლებეს: „მოწეადეთ ხელმწიფავ! ჩემი შთამომავლობა მიშლის კო-  
როლის სასახლეში სიარელს, მაგრამ ჩემი თვასის უფროსი კა-  
მე გარ და ჩემს სასახლეში თქვენ არ შემოგაიშებთ. გინაშნავთ წე-  
ლიწადში ოცი ათასს ფრანგს და გეთსოვებით საუკუნოდ“. მეორე  
ჭდეს მთელმა ლისსაბორნმა შეიტეო, რომ იმ ქალმა, რომელსაც  
თავისი სიღამაზით და ძვირ-ფასი მორთულობით აღტაცებაში  
მოქვენდა კოროლის სტუმრები, დაგარება ის, რისთვისაც მისთხოვ-  
და ბ. „მენარო“-ს—რამდენიმე მიღითხი.

ტელეფონი და ინდიელები. ამერიკის გაზეობები მოგვით-  
ხობენ შესნაშნავ ამსაკს. როდესაც იხდიელების წინამდღოდნი  
მიდიოდნენ მისსურაში სან-ლუის ქადაქშე გაიარეს. აქ სხვათა  
შორის უნდოდათ გაეცნოთ ტელეფონი და მისი მნიშვნელობა.  
აპარატს მიადეს უწინ და გაიგონეს თუ არა სმა, რომელიც აპა-  
რატიდამ გამოდიოდა, მაღიან შეკრონენ. მერე დაიწეუს ჩურჩული,  
შემდეგ გაეხვივნენ თავიანთ წამოსასხმებში, დასხდნენ და მიყცნენ  
ღრმა ფიქტს. რამდენიმე სწის შემდეგ დაიწეუს ლაპარაკი და გა-  
დასწუვიტეს, რომ მათ ეღაპარაკება სული 『თეთრებისა』. როდე-  
საც ეთხოვებოდნენ. სთხოვეს ენუქებინათ ეს აპარატი, რომ ამ-  
თაც და ამათ შეიღებსაც შესძლებოდათ ლაპარაკი თავიანთ გარდა-  
ცვალებულების სულებობას.

განაფეულზე ერთმა კეთილ-შობილის ქალმა მიახარა თავისი  
შერქი ტანისამოსების შემნახველს. როდესაც დაზამორდა, მივიდა  
შერქნთან, გამოართო მიბარებული ქურქი, ჩაიცო და წამოვიდა შინ.

ჭებაში რომ მოდიოდა მიმომსკლელი უკურებდნენ და იცინოდნენ. ქადა შინ რომ მოვიდა მაშინ გაიგო მაზეზი გამვლელ-გამომკლელით სიცილისა: თურმე არ აეგლია ზურგზე დაჭრებული ჭადალდა ამ ჭადალზედ ეწერა: ჭ. ს...გისა. ძველი, გახეხილი, ღაფაცხავებული მელა.“

---

ერთხელ გურული საქმეზე წამოვიდა თვეიდისში. როცა ჭადალქმა შემოვიდა დაინასა ერთი დუქჩინი კუპონებით საკუ, შეკრია ძალას, არ დაუსკენია და წამოვიდა გურიაში.

— რა ჭენი? ჰქოთხეს სახლში. გაარიგე საქმე, რისთვისაც წახვედია?.

— ვაი და, გავარიგე ვი არა, ჭადალში ჭირი გააწენილა; ერთი სახლი სულ კუპონებით საკუ იქო! შემეშინდა, საქმეს თავი არ მიიჩევიათქო, კსოვე და მე გაასელით აქით, მიუგო ბურულმა.

---

## განცხადება.

„თეატრი - „ს რედაქცია გადადის ახალი რედაქტორ-გამომცემლის სელში. ასალი რედაქტორი შედება პატიოსნად შეასრულოს თავისი მოვალეობა და უნაკლებოდ მისცემს ბ.ბ. სელის მომწერლებს იმას, რაც უკვე აღუთქვა მათ ამ რედაქციაშ თავისი პროცესშით.

რედაქცია საჭიროდ ჭხედავს ამოაჭირებინოს სურათები პეტერბურგში და სამძღვაო გარეთ — ლეიპციგში და უკვე შეუდგა ამ საქმეს.

რომ შემდეგი ეპელა ნომერი თავის ღროშე გამოვიდეს საჭიროა წინადვე შემუშავება დასაბეჭდი მასალისა და გაცნობა რედაქციის საანგარიშო და სსკა წიგნებისა; ამისათვის შემდეგი №-ი გამოვა ორი გვრის შემდეგ და დაკლებული №№-ი შემდეგს №№-ს მიემატება.

რადგანაც სელის მოწერა შეიძლება მარტო ნახევარი და ერთი წლით, ამისათვის საჭიროდ ვრაცხო გამოვაცხადოთ, რომ ამ გაზირის ჰირველი და მეორე №№-ის ეპემბლიარები ცოტადა დარჩა და ვინც წინადვე დაიკვეთვენ გაზეთს, იმათ მიეცემათ ეს ეპემბლიარები. ამ შემთხვევაში უპირატესობა წლიურ სელის მოწერთ მიეცემათ.

რედაქციას თავისი თანამშრომლობა აღუთქვეს ქართულ მწერლობაში სახელ დამსახურებულთ ჰირთ. ვისაც სელის მოწერის ჰირთია ჯერ არ შეუსრულებია და № 9 გამოსვლაში არ შეასრულებს, იმას დაკარგება № 9 თავისი სურათით.

რედაქცია მეორედ უცხადებს, რომ ოდესის სემინარიაში ბ. მაღრაძის სახელზე იგზავნება ჩვენი გაზეთი.

## თ ე ა რ ს ი ს ფ ი ს

ცელ... არ დაგავჭიდავთ.

ი. ღ. გადმოგეცეს... ქ'ლანდელიდგან იმის შესრულება, რასაც გვეჭიდავთ... საგაზეო წერილების პირობები თქვენ ვარგად იცით.

რედაქტორ-გამოცემელი გ. აბაშიძე